საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №77/ნ
2013 წლის 24 ივნისი

ქ. თბილისი

,,ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №18/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე **ვბრძანებ:**

მუხლი 1

,,ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №18/ნ ბრძანების (სსმ, ვებგვერდი, 22/02/2011, სარეგისტრაციო კოდი – 360160000.22.022.016056) პირველი პუნქტით დამტკიცებულ ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. მე-12 კლასის/სემესტრის, ასევე მე-12 კლასში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა ტარდება ელექტრონული ფორმით შესაბამისი რესურსცენტრის მიერ შერჩეულ სკოლებში, სკოლების მიერ წარმოდგენილი ტესტების შერჩევის საფუძველზე სამინისტროს მიერ შედგენილი კომბინირებული ტესტებით, გარდა არაქართულენოვანი სკოლებისა/სექტორებისა და იმ სკოლებისა, რომლებიც ახორციელებენ განვითარების შეფერხების (შემეცნებითი ფუნქციებისა და ადაპტური ქცევის დეფიციტის), სენსორული (სმენისა და მხედველობის) და ქცევისა და ემოციური (ასოციალური, აგრესიული და დაუმორჩილებელი ქცევის განმეორებადი და მდგრადი გამოვლინება, რომელიც არ არის ფსიქოტური მდგომარეობის, გუნება-განწყობის ცვალებადობის ან სხვა დაავადებების თანმდევი სიმპტომი) დარღვევის მქონე ბავშვთა სპეციალურ საგანმანათლებლო პროგრამებს. ეს პუნქტი ასევე არ ვრცელდება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფ პირებზე.".

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი — **გიორგი მარგველაშვილი**